ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3741011

ნომერი: AR1565243

თარიღი : 15.12.2017

გაცემის თარიღი : 03.01.2018

გაცნობის თარიღი : 03.01.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , N 73 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოე სიხარულიძე პ/ნ 46001001793
- ყიფშიძის ქ. #9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 15 დეკემბრის AR1565243 განცხადება, რომელშიც ითხოვთ სამსახურის 2013 წლის 29 ნოემბრის №998142 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას. პასუხად გაცნობებთ, რომ დამატებითი ობიექტების და ახალი ფუნქციური სახეობების გაჩენა, ცვლის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიზნობრიობას და საჭიროებს სხვა სამშენებლო პროცედურების გავლას. გამომდინარე იქიდან, რომ ტერიტორიაზე იგეგმება სხვადასხვა ფუნქციის რამოდენიმე ობიექტის განთავსება, ამასთან დღევანდელი მდგომარეობით ნაკვეთის გაბარიტული მაჩვენებელი განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისია, უნდა დამუშავდეს ტერიტორიის წინასაპროექტო კვლევა და სამსახურს მომართოთ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების დადგენაზე. (TAS.GE -ელექტრონული განცხადებები–>მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები–>განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 15 დეკემბრის AR1565243 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.